# იმერეთი

ყოველდღიური გაზეთი

**ფ ა ს ი:**

წლიურათ . . . . . . . 7 მანეთი
ნახევარი წლით . . . . . 4 მანეთი
თვიურათ . . . . . . . 4 აბაზი

**ცალკე ნუმრის ერთი შაური.**

წლიურ ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 3 მანეთი და დანარჩენი კიდევ ნაწილ-ნაწილათ.
**საზღვარგარეთ:** წლიურათ 14 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

№ 17
წელიწადი პირველი
სამშაბათი, 16 ოქტომბერი

**რედაქცია** მოთავსებულია ქუთაისში, **ი**ვანოვის ქუჩაზე, **ვ. ი. ჭ**ილაძის სახლში, (ჭიათურის შავიქვის მრეწველთა საბჭოს პირდაპირ).



ამა 1912 წ. 26 სექტემბრიდან ქ. ქუთაისში გამოდის ყოველდღიური ქართული გაზეთი

## იმერეთი

✖ (წელიწადი პირველი) ✖

გაზეთის ფასი:

| | |
|---|---|
| ერთი წლით . . | 7 მანეთი. |
| ნახევარი წლით . . | 4 მანეთი. |
| ერთი თვით . . . | 4 აბაზი. |
| ცალკე ნუმერი . . | შაური. |

1 ოკტომბრიდან წლის დამლევამდე გაზეთი ღირს 2 მანეთად. მოწაფეებს და სოფლის მასწავლებლებს დაეთმობათ მანეთ ნახევრათ.

**მისამართის გამოცვლა—10 შაური.**

განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტით სტრიქონი ღირს 6 შ., მეოთხეზე აბაზათ, შიგნით გვერდებზე მორიგებით. სამგლოვიარო განცხადება—3 მანეთად.
**ფული და გაზეთის ყოველივე საკანტორო ანგარიში უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით:** Въ гор. Кутаисъ, редакція и контора газеты „Имерети“ **Антону Михайловичу Хеладзе.** სხვანაირათ გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

გაზეთი „იმერეთი“ იყიდება მესხეთის ქუჩაზე მოვაჭრე ამროსი ხვინგიასთან. იქვე მიიღება ხელის მოწერაც.

პაემზე დაფუძნებული ამხანაგობა

**ს. მ. კირაკოზოვის და გ. გ. ოგანოვის**

ქ. ქუთაისში, გიმნაზიის ქუჩა, საკუთარი სახლი.

მომავალი ამა სეზონისთვის მიღებულია აუარებელი და დიდძალი ასარჩევი საქონელი: აბრეშუმის, შალის, მაუდის, მატყლის, ტილოსი და ბამბისა.

**დ ი დ ი ს ა რ ჩ ე ვ ი:**

პლიუშის, ველვეტის, საბნების, ნოხების, „დაროჟკის“, გორდონი ტიულის, ბრეზენტის, ტილოსი, ჯუტის და ყოველნაირი მაუდების და ფორმის მატერიების სამხედრო და სამოქალაქო უწყებათათვის და ყველა სასწავლებლისთვის.
სუფრის ჩაის და ლოგინის თეთრეული, სერვიზები ყოველნაირი ბამბაზეა, შოტლანტა და ვიგონები.

მაღაზია და საწყობი სავსეა სეზონის ახალ-მოდის საქონლით.

**რადგანაც** ჩვენს ამხანაგობაში მონაწილენი არიან სხვილი და გამოჩენილი ქარხნების პატრონები **ქ. მ ო ს კ ო ვ ი ს ა**, ამისათვის ფასები დანიშნულია რიგიანი და შეუვაჭრებლათ.
მიიღება აგრეთვე დაკვეთა ყველა სასელმწიფო, და კერძო დაწესებულებათათვის ნარდ ფასათ.

**ქუთაისის განყოფილება.**

მოდნო მანუფაქტურის მაღაზია

**ზ. ს. ბუტულოვისა**

**მ ი ვ ი ღ ე თ**

**რუსეთისა და საზღვარგარ. ქარხნების საუკეთესო ახალ-მოდის საქონელი**

**დიდძალი** არჩევა **შალეულობის, მაუდების, აბრეშუმებისა** და **თეთრეულის. სუფრის და ხელსახოცის** საუკეთესო ნაწარმოები.
მოწაფეების და ყველა დარგის მოხელეების ფორმის მატერიები.
✖✖ ყველა საქონელზე ფასი რიგიანი და შეუვაჭრებლათ. ✖✖
გიმნაზიის ქუჩა, ბაღის პირდაპირ. ტელეფონი № 28.

მიაქციეთ ყურადღება!

**✖ გ. დ. კაჭკაჭოვის ✖**

ახლათ გაღებული ფართლეულობის

**მ ა ღ ა ზ ი ა**

ბულვარის პირდაპირ.

მივიღეთ და ყოველდღე ველებულობთ დიდძალ ახალმოდის საზამთრო მატერიებს: **შალეულს, მაუდეულს, აბრეშუმეულს,** ტილოს, ბამბეულს, მაგიდის ყოველნაირ გასაწყობს. აგრეთვე „რუბაშკებს“ შალის, აბრეშუმის, საზღვარ-გარეთისა და რუსეთის ტულის ფარდებს.
საქონელი იყიდება სხვა მაღაზიებთან შედარებით, **დაკლებულ ✖✖✖ ფასათ და უვაჭროთ. ✖✖✖**
განსაკუთრებით მოწაფეებს ფორმის ტანისამოსზე 5 პროც. შეღავათი ეძლევათ.

მიაქციეთ ყურადღება!

მიაქციეთ ყურადღება!

**ვამზადებ** შინაურ **სადილს**

მსურველს შეუძლია მიმართოს და პირობები გაიგოს აბორნის ჩასახვევში საკ. სახლი ალექსი ჭებაძესთან.

**ექიმი ჯაფარიძე** იღებს შინაგანის, ბავშების, აგრეთვე: ყელის, ცხვირის და ყურის სნეულებით ავათმყოფებს.
თფილისის ქუჩა, სახლი ნიჟარაძისა.

**ბებია ქალი ე. ი. ბუდაგოვსკისა,** ვკურნავ კან-ქვეშ შესაშხაპუნებელი წამლით. ივანოვის ქუჩა, სახლი ბაჯიოღლისა № 20.

**ექიმი გ. დ. ნასარიძე** და მისი და **ე. დ. ნასარიძის ასული** გადავიდენ ახალ ბინაზე, იქვე ძველი ბინის პირდაპირ **რ. ს. მზიკოვის** სახლში.

**ექიმი ი. ჩარექოვი**

დაბრუნდა აგარაკიდან და იღებს მხოლოდ და განსაკუთრებით **კანის, ვენერიულსა და სიფილისიან ავადმყოფებს. დილის** 12 საათ. 2-დი; საღამოს 5—7.
ილია ჭავჭავაძის ქ. აბულაძის შესახვევი იოსელიანის სახლი.

**ექიმი ვ. ს. ფუზინი** ქირურგიული და საშარდის ავათმყოფობა (ცისტოსკოპია საშარდე) ბუშტის ელექტრონით გამოკვლევა კატეტერიზაცია თირკმლის. მიღება 12—2 საათ. და 4—6 ს. გოშპიტ ქ.

**ექიმი ბ. ა. მირაქოვი** ღებულობს შინაგან, ყელის, ცხვირის, და ყურის სნეულობით ავათმყოფს.
**დ**ილის 8—12 ს. და საღამოს 5—8 ს.
**ლ**ევაშოვის ქ. საკუთარი სახლი № 19.
შეიძლება **ი**ვანოვის ქუჩიდანაც № 18.

**ექიმი ი. ტოგონიძე.**

იღებს შინაგან, ქალის სნეულებითა და საბებიო ავათმყოფთ.
**ვაჟების** გიმნაზიის პირდაპირ, **ჩ**ელინგაროვის სახლი.

**იყიდება**

ბაკურიანის აფთიაქი (შეიძლება იჯარაშიდაც გაიცეს) მსურველთ შეუძლია მიმართონ შემდეგის ადრესით: სადგური სვირა, სტუდ. ნიკოლოზ ნესტორის ძეს ნჩეძეს.


გიორგი ანდრიას-ძე და მეუღლე მისი პელაგია ადამის ასული ცირეკიძეები, ნადია და ელენე ივანეს ასულნი ძოწენიძეები და ერემია პართენის-ძე ძოწენიძე აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უდროოთ გადაცვალებას, პირველი გერისას, მეორე შვილისას, მესამენი და მეოთხენი დისას და მეხუთე ბიძაშვილისას

**ლიდა ივანეს ასულის ძოწენიძისას.**

გამოსვენება დანიშნულია 18 ოკტომბერს, ხუთშაბათს, ნაშუადღევის 2 საათზე, საკუთარი სახლიდან (ფრანგების ქუჩის ჩასახვევი).


პირდაპირ **ნახევარ ფასათ** იყიდება!.

ახლათ მიღებული საქონელი **შემთხვევით ნაყიდი** და პირველი ღირსების, რუსეთისა და საზღვარგარეთის საუკეთესო ქარხნების და უკანასკნელი მოდის.
გაყიდვა დაიწყება **დღეის რიცხვიდან მოკლე ვადით** ქ. ქუთაისში, ბულვარის პირდაპირ ძმ. ოცხელების შენობაში ახვლედიანის მაღაზიის მეორე განყოფილებაში, სადაც იყიდება შემდეგი ახლათ მიღებული საქონელი: კაცის ყოველნაირი მშვენიერი კასტუმები. 5 მან. დაიწყება ფასი და ამას ზევით, რა ფასიანიც ესურვებათ; კაცის, ქალისა და ბავშების ყოველნაირი პალტოები ზამთრისათვის, საშემოდგომო და საზაფხულო, კაცის შარვლები და პიჯაკები, ფეხსაცმელები ქალის, კაცისა და ბავშების საუკეთესო ფირმების მრავალგვარი, საუკეთესო ღირსების და გამოჩენილი ქარხნების აბრეშუმის იუბკები, შალის კაბის ქვედა წელები, რუბაშკები და სარუბაშკეები ნაჭრობით;
**კალოშები**, კაცის, ქალისა და ბავშის, რედიკულები, ალბომები, სარკეები და ღია წერილის ალბომები, ქალის და კაცის ქამრები და საქამრე რეზინები და სხვა მოწყობილება მისი, ყოველნაირი რეზინა წვივსაკრავისთვის და აგრეთვე შზა წივსაკრავი ქალთა და ბავშთათვის. **სამუსიკო იარაღები** სასიამოვნო ნოტებით, კორსეტები და სხვა. **ამასთანავე მოვახსენებთ პატივცემულ საზოგადოებას,** რომ ახვლედიანის მაღაზიაში არის ახლადვე მიღებული დიდძალი საგალანტერეო საქონელი მზა ტანისამოსები და ფეხსაცმელები კაცის, ქალის და ყმაწვილების და ასეთებს კიდევ ველებულობთ ყოველდღე.
**ფასები ხელმისაწდომია და უვაჭროთ.** **პატივისცემით ა. ახვლედიანი.**

**გ ა ი ხ ს ნ ა**

ახალი

**სავაჭრო სახლი**

**სრულიად ახალი საქონლით**

**ივანე მარკოზის-ძის კაკანაძისა**

**ქ. ქუთაისში, მიხეილის ქუჩა, ძმათა გოკიელის სავაჭროს გვერდ.**
**სავაჭრო სახლში** მოიპოება ახლათ მიღებული: ყოველგვარი საბაკალეინო და საგასტრონომიო საქონელი. **საზღვარგარეთის** და **რუსეთის** ყოველნაირი მაგარი სასმელი, სამკურნალო და სუფრის ღვინო.
და აგრეთვე ყველა ცნობილი ფირმის საკონდიტერო ტკბილეულობა და კონსერვები.
ფასები ზომიერი, **ყოველი კონკურენციის გარეშე და შეუვაჭრებლათ.**

პარიზის ჭრა-კერვის კურსები

**ს. ა. ალიბეგოვისა**

**დილა-საღამოს** საათის მაცადინობით ექვსი თვის განმავლობაში ათავებენ პ. ქ.-კ. მთელ კურსს. კურსდამთავრებულთ ეძლევათ მოწმობა:
**მისამართი:** ქუთაისი, **ლ**ევაშოვის ქუჩა, **ა**ლიბეგოვის სახლი, ნახვა შეიძლება. 10—7 საათამდი.

**ალექსანდრე კოსტავას**

ევროპიული ტანსაცმელების მაღაზიაში

**თფილისის ქუჩაზე, აფთიაქთან.**

**ა**ხლათ მივიღეთ: კოსტიუმები, საშემოდგომო და საზამთრო პალტოები, აგრეთვე მოწაფეებისათვის, საწვიმარი მოსახურავები და სხვა შეკერილი ტანისამოსი. **ყ**ველაფერი მეტათ დაკლებულ ფასათ იყიდება, რადგანაც ნაღდზე მაქვს ნაყიდი და მექარხნეებმა ძლიერ დამიკლეს ფასები. **ა**გრეთვე ველებულობ „ზაკაზებს“ ძლიერ ხელმისაცემ ფასათ, გვაქვს რუსული და ევროპიული ყოველგვარი საკოსტიუმო მატერია კაცებისათვის.


**ქუთაისის საინჟინერო დისტანცია**

მოუწოდებს, ვისაც გასაქირავებელი აქვს 100 ოთხ-კუთხ. საჟ. სივრცის სახლი, რომელიც საჭიროა ჯარის ნაწილისათვის

## დ ღ ი უ რ ი.

— სევასტოპოლში სამხედრო სასამართლომ 142 მატროსის საქმის გარჩევა დაიწყო, რომელნიც მთავრობას აუჯანყდენ.

— **ქ**ამანოვოს მახლობლათ ოსმალეთის ჯარმა **ს**ერბიის ჯარი დაამარცხა.

— **ბ**ულგარელებმა იერიშით **კ**ირიკილისი აიღეს და მრავალი ნადავლი ჩაიგდეს ხელში.

— **ქ**ედივის ოჯახმა ეგვიპტის ნახევარი მთვარის წითელ საზოგადოებას 77000 მანეთი შესწირა.

— **ბ**ულგარელებმა **ლ**ოზენგრადი აიღეს და ტყვეთ 39,000 (?) ტყვე წაიყვანეს; მათ რიცხვშია პრინცი **ა**ბდულ-**ხ**ალილი და **მ**უმედ-მუხთა ფაშა.

— **ი**აროსში ოსმალებს **ბ**ულგარელებმა 300 მოუკლეს, 500 ტყვეთ წაართვეს.

— **კ**ირჯალში **ბ**ულგარელებმა ოსმალებს მილიონი პატრონა, 40 ყუთი წამალი, 18,000 ფქვილი, 60,000—ხორბალი და 30,000 კილ. გრამი ქერი წაართვეს.

— **ბ**ულგარელებმა **ა**ნდრიანოპოლის მახლობელი სიმაგრეები აიღეს; ახლა **ა**ნდრიანოპოლის ასაღებათ მიდიან.

— **ბ**ერძნებმა **ო**სმალებზე **თ**ესალიაში ორჯერ გაიმარჯვეს.

— **ს**ერბიელები იმარჯვებენ. **ო**სმალები უკან იხევიან და სამხედრო სურსათს სტოვებენ.

— **ა**დესაში მცხოვრებ **ო**სმალეთის ქვეშევრდომებმა **ს**ტამბოლში 40 ათასი მანეთი გაგზავნეს საომარი საჭიროებისათვის.

— **ა**ვსტრია, **გ**ერმანია და **რ**უმინია შეთანხმებულან, თუ ოსმალები დამარცხდენ, **ბ**ალკანეთის საქმეებში ჩაერიონ.

— **პ**ეტერბურგში სხვადასხვა ქარხნებში 15 ათასი მუშა გაიფიცა. **გ**აფიცული მუშები კრებებს ახთენენ.

**ვ**აჭრობა-მრეწველობის მინისტრს ახალი პროექტი შეუმუშავებია. პროექტის ძალით მექარხნეებს ეკრძალებათ მცირეწლოვანი (17 წლამდი) 6 საათზე მეტი ამუშაონ.

— **მ**ოკლე ხანში მოხეთბა სრულიად **რ**უსეთის ქალთა მეორე კრება.

— **პ**ეტერბურგის ქალაქის გამგეობამ 100,000 მანეთი გადადვა **ბ**ალკანეთის **ს**ლავიანების სასარგებლოთ.

## ვინ ავირჩიოთ?

**გ**აცხარებული საარჩევნო ბრძოლაა! **მ**ოდუნებული ცხოვრება შეირყა და მეტათ გაცხოველებული მაჯის ცემა დაეტყო. **ყ**ველა საარჩევნო ბრძოლის ბაცილებით გაჟღენთილ ჰაერსა სუნთქავს და შემდეგი საჭირბოროტო საკითხი ყველას თავს დატრიალებს.—ვის ავირჩიოთ?

**დ**ღეს ბრძოლა ორი მიმართულების შორის და მათი კანდიდატების გარშემო წარმოებს. **კ**იტა **ა**ბაშიძე და **ე**ვგენი **გ**ე-

გექკორი! აი, მოპირდაპირე ბანაკთა კანდიდატები. მაგრამ ევგენი გეგეჭკორის კანდიდატურა ამ ჟამათ მოხსნილათ უნდა ჩაითვალოს, რადგან ქუთაისში საარჩ. ცენზის უქონლობის გამო მისი ამომრჩევლათ გაყვანა ყოვლად შეუძლებელია და მაშასადამე დეპუტატათაც ვერ წავა.

ალბათ გეგეჭკორის მომხრენი მის ნაცვლათ ახალ კანდიდატს წამოაყენებენ და მოწინააღმდეგების დასამარცხებლათ საშვალებას არ დაზოგვენ. ხოლო ეს ხომ პარტიული ჟინიანობა და უნაყოფო და უმაქნისი შრომა იქნება, რადგან ძალთა განწყობილება ისეთია, რომ გეგეჭკორის მომხრეებს თავისი კანდიდატის სათათბიროში გაგზავნა არ ძალუძთ, ვინაიდან ამრჩეველთა (ვიბორჩიკების) საჭირო კონტინგენტი, ქუთაისშიც რომ გაიმარჯვონ, მაინც არ ეყოლებათ.

ამნაირათ საერთო გამარჯვება კიტა აბაშიძის მომხრეებისკენაა. ხოლო დღეს ჩვენს წინაშე მეტათ დიდმნიშვნელოვანი საკითხია; ვის მივანდოთ მთელი რუსეთისა და განათლებული კაცობრიობის წინაშე ქართველ ხალხის ვინაობის ღირსეულათ გაცნობა, მისი ჭირ-ვარამის ნათლათ გამოხატვა? რასაკვირველია იმას, ვინც საერთო საკაცობრიო იდეალებთან ერთად და უმთავრესად ჩვენი ქვეყნის ინტერესების თავისუფალი, მხნე, თავდადებული და მჭერმეტყველური დამცველი იქნება, ვისაც საქართველოს წარსული არ ეჯავრება, აწმყოს ფხიზლათ უყურებს და ჩვენი ქვეყნის კეთილ მომავალზე ზრუნვა ცხოვრების მიზნათ დაუსახავს.

ვის შეუძლია ამ დიად პასუხსაგებ მისიის პირნათლად შესრულება და ჩვენი იმედების გამართლება?

კიტა აბაშიძეს!

და ჩვენც მოუწოდებთ ამომრჩევლებს მოქალაქეობრივი მოვალეობა მოიხადონ და თავიანთი ხმა კიტა აბაშიძეს მისცენ, რითაც ქუთაისის გუბერნიიდან სათათბიროში ერთად-ერთ წარმომადგენლათ ღირსეულ კაცის გაგზავნას ხელს შეუწყობენ.

ფ.

## როგორ იცავდენ სოც.-დემოკრატები სათათბიროში პატარა ერების ინტერესებს.

ყველას უნდა ახსოვდეს, რა უკმეხი პასუხი გასცა კარლო ჩხეიძემ პოლონეთის წარმომადგენელს, რომელმაც თავისი ერის ავტონომია, ე. ი. ეროვნული თვითმართველობა, მოითხოვა. ჩხეიძის პასუხმა ავსტრიის პოლონელი სოციალდემოკრატების სამართლიანი გულისწყრომა და პროტესტი გამოიწვია. მართალია, გეგეჭკორმა სოციალდემოკრატიული ჯგუფის საქციელის გამართლება დააპირა, მაგრამ ფაქტი მაინც ფაქტათ დარჩა.

გეგეჭკორმა ბრალი პოლონელ დეპუტატებსვე დასდო, მთავრობას მიემხრენ, მემარცხენეებს უღალატესო და სხ. მაგრამ, თუგინდ ასე ყოფილიყო, სოციალდემოკრატებს პოლონეთის ავტონომია მაინც უნდა ხმამაღლა აღეარებიათ. სხვისი ბრალი ვერ გაგამართლებს, თუ რამე დანაშაული მიგიძღვის! და განა სოციალდემოკრატებმა მალოროსების, ლიტველების, თათრების და სხ. ეროვნული უფლება დაიცვეს?

ვინ არ იცის, რომ რუსეთის სოციალდემოკრატები ცენტრალისტები არიან და ეროვნულ საკითხში ახალგაზდა თურქებს ემზგავსებიან! მათი მიზანია, ეროვნული მრავალფეროვნება მოსპონ და სხვადასხვა ერი ერთ ერად გადააგვარონ.

ეს ის პოლიტიკაა, რომელმაც ოსმალეთი დაღუპა, რომელიც მხოლოდ ძალადობაზე შეიძლება იქნეს დამყარებული და ძმობისა და ერთობის მაგიერ შინაურ მტრობასა შობს.

მას აქეთ, რაც სათათბირო არსებობს, სოციალდემოკრატიის დეპუტატებს სიტყვა „ავტონომია“ არ წამოცდენიათ.

პოლონელები, მალოროსელები ლიტველები, ქართველები და სხ. მათ სამართლიანად ემდურიან.

საინტერესოა ციმბირის ერთი დეპუტატის საქციელი. ის სოციალდემოკრატი იყო და სოციალდემოკრატიულ ჯგუფში მუშაობდა, მაგრამ, რადგან ეს ჯგუფი განაპირა ქვეყნების ადგილობრივ საკითხებზე ყურს იყრუებდა, ხსენებული დეპუტატი იძულებული იყო, ამ ჯგუფიდან გასულიყო. ნეტაი ჩვენს (?) დეპუტატებსაც ქონოდათ მისოდენი მოქალაქობრივი გამბედაობა!

ამგვარათ სოციალ-დემოკრატია არა თუ უცხო ერების, არამედ თვით შორეული რუსების ადგილობრივ ინტერესებსაც არ იცავს ჯეროვანათ.

დაუჟინიათ,—მარტო ჩვენა ვართ ჭეშმარიტი დემოკრატებიო. მაგრამ ახლა უკვე საანბანო პოლიტიკურ ჭეშმარიტებათ არის აღსარებული, რომ დემოკრატია და პოლიტიკური ცენტრალიზაცია ერთმანეთს უარყოფს.

ჩვენ ვიცავთ მუშათა ინტერესებსო, ჩვენა ვართ მათი პატრონებიო, ამბობენ. მაგრამ დემოკრატობა მარტო იმას კი არ შეიცავს, რომ მუშათა ინტერესები დაიცვა, არამედ საჭიროა, რომ თვით მუშის ხელშივე იყოს მისი სვებედი. მუშას ვერ უშველის, მის ბედს ვერ გააუმჯობესებს ის, ვინც მას ვერ იცნობს; მუშას ცხრა მთას იქით მყოფი უცნობი დამცველი არ ეჭირვება. პირიქით, იმისთანა დამცველი უნდა ყავდეს, რომელსაც იცნობს, რომელთანაც კავშირი გაწყვეტილი არ აქვს, რომელსაც თავისი გულის პასუხი შეუძლია უთხრას, თავისი გაჭირვება შესჩივლოს და სათხოვარი მოსთხოვოს. ეს კი მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც თითოეულ განაპირა კუთხეს ადგილობრივი საქმეებისათვის საკუთარი საკანონმდებლო დაწესებულება აქვს.

სოციალდემოკრატები, რომელნიც განაპირა ქვეყნების ავტონომიას უარყოფენ, ეუბნებიან მუშებს: ჩვენ დაგიცავთ, ჩვენ დაგიფარავთო. მაგრამ მუშებს სრული უფლება აქვთ მიუგონ: არ გვინდა თქვენი მფარველობა, რადგან შორს ხართ, ჩვენს შორის მჭიდრო კავშირი არ არსებობს; სჯობს, ჩვენი თავის დამცველ-პატრონებათ ჩვენვე ვიყოთ.

ერთი სიტყვით, პოლიტიკური ცენტრალიზაცია მუშების ეკონომიური ინტერესებისთვისაც ძლიერ საზიანოა.

მაგრამ განა მუშას მარტო კუჭის საკითხი აწუხებს და უმაღლეს მიზანზე უარს ამბობს?! განა მასაც არ უყვარს თავისი სამშობლო, ეროვნული ლიტერატურა, ზნე-ჩვეულებანი?! განა სომეხი მუშა თავის სამშობლოსა და ვინაობას გერმანიასა და გერმანელობაზე გასცვლის?!

მუშის გონებრივი და ზნეობრივი მოთხოვნილებანი მხოლოდ მაშინ არის დაკმაყოფილებული, როდესაც შკოლასა, სასამართლოსა, ადმინისტრაციასა და ცხოვრებაში მისი ეროვნული უფლება აღსარებულია, ერთი სიტყვით, როდესაც ავტონომია აქვს მინიჭებული.

და, რადგან ჩვენი სოციალდემოკრატები ავტონომიას უარყოფენ, ისინი, მაშასადამე მუშის ინტერესებს ჯეროვანათ ვერ იცვენ, ე. ი. არ არიან ჭეშმარიტი დემოკრატები.

ურო.

## ქართველ ებრაელთა საყურადღებოთ.

(ახლოვანდელი არჩევნის გამო).

ქუთათურმა ქართველმა ებრაელებმა უკანასკნელ არჩევანის დროს ნდობა არ გამოგვიცხადეს. ჩვენ ისე არა ვფიქრობთ, როგორც ბევრი ქუთაისის საზოგადოებიდან,—ვითომც მთელ ებრაელობას ზურგი ექციოს ჩვენი პროგრამისათვის და ყველა თავისი ხმები იმ კანდიდატებისათვის მიეცეს, რომელთა მსოფლმხედველობით ეროვნული პრობლემა ბურჟუების გამოგონილი მაქინაციაა, რომ ეროვნული დროშა უბრალო წითელი მჩვარია, რომელსაც შეუგნებელთა და გონება დახშულთა მოსატყუებლათ აფრიალებენ, რომელთა პროგრამა-ტაქტიკა კერძოთ ებრაელთა საკითხის დასმას, როგორც განსაკუთრებული, სოციალიზმიდან გამოყოფილი საკითხისას უკრძალავს მის მიმდევართ.

განა დასაჯერებელია ჩაგრულმა ერმა უკუ აგდოს ის პოლიტიკა, რომელიც უწინარეს ყოვლისა ეროვნულ ჩაგვრასა და შევიწროებას ებრძვის და მიიღოს სალის გონებით და სრულის მეხსიერებით ის მისი მკვლელი მოძღვრება, რომელიც, გარეშე კლასობრივი ჩაგვრისა, არავითარ ჩაგვრას არ ხედავს! დასაჯერებელია, რომ ებრაელობამ, რომელიც ყოველ ზომას ხმარობს იმისთვის, რომ თავისი ეროვნული სახე შეინარჩუნოს, პირი უბრუნა ჩვენში ისეთ საზოგადოებრივ მიმდინარეობას, რომელიც დიახ ამ სახის შენარჩუნებისათვის იბრძვის? დასაჯერებელია, რომ იმ ებრაელობამ, რომელმაც ყოველნაირათ ერთობ შევიწროებულმა, ნაციონალური-პოლიტიკური ორგანიზაციები გაიჩინა და ეროვნულ-კულტურული ავტონომიის იდეის განხორციელება ერთ უპირველეს საგნათ დაისახა,—რომ ამ ებრაელობამ იმ განსაზღვრულ ქართველთა ჯგუფს, რომელსაც ფართო პოლიტიკური თვითმართველობა მიტომ სწადია, რომ ამით ეროვნული ჩაგვრა შეასუსტოს, რომ ეროვნული კულტურა ნორმალური განვითარების პირობებში ჩაავდოს, რომლის შეხედულებით, ყოველი ეროვნული უმცირესობის უფლება, მაშასადამე ჩვენში ებრაელთა, სომეხთა, რუსთა და სხ., სავსებით უზრუნველყოფილი უნდა იქნეს,—რომ ამ ებრაელობამ ამ ჯგუფს ძმური ხელი არ გაუწოდა?

არა, ეს ჩვენ არ გვჯერა, არ გვჯერა იმიტომ, რომ ჩვენი ეროვნული პროგრამის უკუგდება ებრაელისმიერ—ეს დანაშაულია ებრაელისა ებრაელი ერის წინაშე და დიდი ზიანია იმ დიდი ხნიდან გაჭედილ კეთილ მეზობლურ განწყობილებისათვის, რომელიც აგერ რამდენი საუკუნეა სუფევს ქართველთა და ებრაელთა შორის და რომელიც აწიც, იმედია, არ დაირღვევა. ის ებრაელი, რომელიც საარჩევნო ყუთთან შეგნებით მიდის, ასეთს დანაშაულს არ ჩაიდენს. ის ებრაელი, რომელიც თავის ერის ინტერესებს არ ღალატობს, ჩვენთან უნდა იყვეს, ჩვენს პროგრამას და ჩვენს კანდიდატურას უნდა იცავდეს. რას მიქვია ფსიქიური ძალდატანება ამომრჩეველზე, როდესაც უკანასკნელი თავის წმინდა მოქალაქობრივ მოვალეობას ასრულებს!? ან განა შეგნებული წევრი საზოგადოებისა ცრუ დაპირებებმა ერთის მხრით და ყალბი აზრების გავრცელებამ მოწინააღმდეგებზე მეორეს მხრით უნდა აიყოლიოს და მისი კენჭი იმას უნდა აშავებდეს, რომელიც მისი ნამდვილი დამცველი და მოჭირნახულეა!

ჩვენ ამ შეგნების და გონიერების იმედით ვართ, ამ შეგნებას მივმართავთ. ვფიქრობთ, რომ მომავალ 17 ოკტომბრის ქალაქის არჩევნებს ქუთათური ქართველი ებრაელობა მეტის შეგნებით და უფრო დამოუკიდებლათ შეხვდება, ვიდრე ეს 4 ოკტომბერს იყო, და თავის ყოველი მხრივ გათვალისწინებული მოქმედებით არც ჩვენ გვკრავს ხელს და არც თავისი ერის ინტერესებს დაივიწყებს.

## ქართველი გლეხები და სოციალ-დემოკრატიული პარტია.

გუშინ გაზ. „იმერეთში“ (№ 15) წავიკითხე ფრიად საყურადღებო წერილი ბ. სამსონ ფრუიძისა. ეს შეგნებული გლეხი და ლეჩხუმის გლეხთა რწმუნებული, ე. ი. ამომრჩეველი თამამათ აცხადებს გაზეთის ფურცლებზე თავის პოლიტიკურ რწმენას.—5—6 წლის წინათ მე თანაუგრძნობდი ერთ ჯგუფს, (იგულისხმეთ სოციალ-დემოკრატიული პარტია), მაგრამ ამას შემდეგ აღარ შემიძლია ვეკუთნოდე იმ ჯგუფ, რომელიც ჩვენზე და ჩვენს ქვეყანაზე ასე ცოტათ ზრუნავსო. სულით და გულით თანამოზიარე ვარ იმ ჯგუფისა, რომელსაც კიტა აბაშიძე ეკუთვნის და რომლის წარმომადგენელი სახ. სათათბიროში უპირველეს ყოვლისა ჩვენს ეროვნულ საქმეს დაიცავს“.

ფრუიძის ამ საგულისხმო წერილმა მეტათ ამაფრთოვანა. ამ ქართველი გლეხის წრფელმა და გაბედულმა სიტყვებმა ნათლად მამცნეს, რომ ილვიძებს ჩვენი გლეხობა, იღვიძებს ქართველი ხალხი. 20 წელიწადია, რაც რუსეთის სოც. დემოკრატთა ნავლეჯი, საქართველოს სოციალდემოკრატები ... ჩვენს ხალხსა და გლეხობას, რომ ერთად ერთი მათი ინტერესების დამცველი პარტია ესენი არიან, რომ მხოლოდ სოციალ-დემოკრატები არიან მუშათა პარტია და სხვა არავინ. ამ პარტიის ადეპტებით მოდებულია მთელი საქართველო, ამ პარტიის წითელი რაზმი დათარეშობდა ჩვენ ბედშავ ქვეყანაში; ამ 6—7 წლის წინათ ეს პარტია ბელადობდა ჩვენ ხალხს... და აი ნაყოფიც!.

ამ სოციალ-დემოკრატიულ პარტიას შორდებიან დღეს არამც თუ შეგნებული ახალგაზდობა და ინტელიგენტები, არამედ შეგნებული გლეხობაც. ამ პარტიის უმეცრულმა მოქმედებამ ჩვენში და მასთან მათი დეპუტატების უტოპიურმა ლათაიებმა სახელმწიფო სათათბიროში ბევრს აუხილა თვალი და ნათლად დაანახა სინამდვილე, დაანახა საქართ. სოციალ-დემოკრატიული პარტიის სიყალბე და ორპირობა. ექვს წელზე მეტია რაც დაარსდა რუსეთში სახელმწიფო სათათბირო; ამ ხნის განმავლობაში საქართველოდან იგზავნებოდენ დეპუტატათ სოციალდემოკრატიები. ნეტა რა თქვეს, რა გააკეთეს მათ ქართველებისათვის? არაფერი, სრულიად არაფერი... განა მათ დაიცვეს ჩვენი ერის ინტერესები? მათ სთქვეს რამე ჩვენს ენაზე, ჩვენს შკოლებზე, ჩვენს ეკლესიაზე, ჩვენში ერობის შემოღებაზე, ჩვენს მიწამამულებზე, ჩვენი სოფლის გაჭირვებაზე და ბევრს სხვა საჭირბოროტო კითხვებზე? ან სულ არა, ან ძალიან მკრთალათ. არამც თუ თვითონ არ ამბობდენ არაფერს, არამედ სხვებსაც კი უშლიდენ ამაზე ლაპარაკს. მაგ ჩვენი სოციალდემოკრატების დეპუტატები წინაღუდგენ პოლონეთში ავტონომიის შემოღებას, გაკიცხეს პოლონეთის დეპუტატი ბ. ლედნიცკი, რომელმაც ხმა ამოიღო სახ. სათათბიროში ქართველების შესახებ. ჩვენი გლეხი, კვნესის, იტანჯება და სული ეხუთება უმიწობით, იმავე დროს კი რუსის მთავრობა ასიათასობით ასახლებს საქართველოში რუსებს და სომხებს. ამაზე სთქვეს რამე ჩვენმა დეპუტატებმა? გამოარკვიეს, ნათლად დააყენეს ეს საკითხი? არა და არა. ქართველ პატიოსან ჩინოვნიკებს უსამართლოდ ერეკებიან სამსახურიდან, ქართველ განათლებულ პირთ არ აძლევენ სამსახურს, ქართულ ენას ხუთავენ შკოლებში, რუსის ჩინოვნიკი-მასწავლებელნი აჯარიმებენ შკოლებში ქართველ შაგირდებს თავისი დედა-ენაზე, ქართულ ენაზე ლაპარაკისთვის... ჩვენს დიდებულ ენას, გიორგი მთაწმინდელის და შოთა რუსთაველის ღვთაებრივ ენას რუსის უმეცარი ჩინოვნიკები აქ, საქართველოში ეძახიან ძაღლის ენას... ამ ჩვენს დამცირებაზე, ამ ჩვენს ფეხქვეშ გათელვაზე ამოიღეს ხმა სათათბიროში ჩვენმა დეპუტატებმა? ან სრულიად არა, ან ისე მკრთალათ, რომ არავის უგრძვნია. რომელი ერთი მოვთვალო კიდევ!...

## შინაური მტრები.

29.

„მუშათა პარტიის“ შეგნება!

ყველას ახსოვს, რასაკვირველია, კრილოვის ის უგუნური ღორი, რომელიც თავის მასაზრდოებელ მუხას ძირს უთხრიდა: ღორის ჩლუნგი ტვინი ვერ მიმხვდარიყო, რომ გემრიელი და ნოყიერი რკო, რომლითაც იგი ყოველ საათში იკვებებოდა, ამ მუხას ესხა!..

ჩვენი „ჭკვიანი“ დასელებიც ასე იქცევიან: ისინი თავის მასაზრდოებელ ქვეყანას ძირს უთხრიან, ასამარებენ... და მათი გონება ვერ მიმხვდარა, რომ ამით თავის საკუთარ თავს ასამარებენ.

დიახ, თავის თავს ასამარებენ—და კიდევაც დაასამარეს, თუ მიხვდებიან: ჩვენი ხალხის უდიდესმა ნაწილმა უკვე საკმაოთ შეიგნო მათი მოძღვრების სიყალბე—და თვალსაჩინოთ ზურგი შეაქცია მათ, რაიცა ამ უკანასკნელი სათათბიროს არჩევნებმა გამოააშკარავა. მიუხედავათ მათი ტრაბახობისა, რომ რაცა ვართ, ჩვენა ვართო და ფედერალისტებს მომხრეები არა ყავთო, მიუხედავათ იმისა, რომ დასელებს „ხელჯოხიანების“ მთელი ლაშქარი ყავდათ, ხოლო მოწინააღმდეგეებს—შეგნებულ მუშკთა მხოლოდ მცირე გუნდი,—დღესდღეობით ამრჩეველთა უმრავლესობა მათ არ ეკუთნის. ეს გარემოება აშკარათ მოწმობს, რამდენათაც ჭეშმარიტია, რამდენათ ნათელია მათ მოწინააღმდეგე ფედერალისტთა მოძღვრება: იგი თავისთავათ, ძალდაუტანებლათ იკვალავს გზას, ხოლო დასელთა „ლაშქარი“ დღითიდღე მცირდება!..

და განა ფედერალისტთა მოძღვრება მართლაც ყველასათვის ბრწყინვალე მზესავით ნათელი არ არის? რა სწადიათ ფედერალისტებს?— რა სწადიათ და, უპირველესათ ყოვლისა, სხვა კულტურული ერების ავტონომიებთან ერთად,— საქართველოს ავტონომია.

მერე რათა? რა ამისთანა უებარი ხილია ეს ავტონომია, რომ ასე დაჟინებით შეტრფიან მას?

მოგახსენებთ, რა ხილიც არის. ავტონომია ხალხის იმისთანა თვითმართველობას გულისხმობს, რომელშიც კულტურული ერი თავისი ცხოვრებისა და ზნეჩვეულების შესაფერ კანონებს თვითონ ადგენს, თავისი შინაური ცხოვრების წესრიგს თვით განაგებს, თავის შკოლებს თავისი ქვეყნის შესაფერი პროგრამით თვითონ აწესებს და მართავს, თავის სასამართლოს თავისივე უკეთესი შვილების საშვალებით აწარმოებს... ერთი სიტყვით—ხალხი თავის შინაურ ცხოვრებას თავის გემოვნებაზე აწყობს და აჩაღებს.

და განა ამისთანა წესწყობილება ვისთვისმე მავნებელი იქნება? „პურიშკევიჩები“ ფიქრობენ, რომ ავტონომიები რუსეთის მთლიანობას დაარღვევსო! რა შეცთარი აზრია! რუსეთის საუკეთესო შვილებთან ერთად ფედერალისტებიც მრავალი საფუძვლით, ცოცხალი მაგალითებით—სხვადასხვა ქვეყნის დღევანდელი ავტონომიების ცხოვრებით—ამტკიცებენ, რომ სახელმწიფოში მშვიდობიანობა და მოქალაქეთა შორის კეთილგანწყობილება მხოლოდ მაშინ სუფევს, როდესაც სხვადასხვა კულტურულ ერს ავტონომია აქვს მინიჭებული (მაგალ. ავსტრალიის შეერთებულ შტატებში, ახალ ზელანდიაში და სხვ. და სხვ.) და, პირიქით, მათ შორის მუდმივი შუღლი და შფოთი მხოლოდ იმ სახელმწიფოებშია გამეფებული. სადაც სხვადასხვა ერის თვითარსებობის ინტერესები იჩაგრება (მაგალ. გერმანიაში და, თუ გნებავთ, რესპუბლიკანურ საფრანგეთშიც, სადაც მართვაგამგეობა ცენტრალისტურია).

დიახ, ავტონომიური წესწყობილება სახელმწიფოში საზოგადოთ მშვიდობიანობას ამყარებს—და მასთან სხვადასხვა ერის ცხოვრებას გონებრივათაც, მორალურათაც და ეკონომიურათაც სისწრაფით აწინაურებს.

ავტონომია, სხვა ერთა მზგავსათ, ქართველი ერის სწავლაგანათლებასაც სწორ გზაზე დააყენებს— და ეს, ხომ იცით—რასაც ნიშნავს? ეს ნიშნავს ახალგაზდობის წვლის გამართვას, სამშობლო—გასაგებ ენაზე სწავლას დაბალსა, საშვალოსა და მაღალ სასწავლებელშიც, სასწავლო საგნების ადგილათ შეგნებას, გონების ნორმალურ— წესიერ განვითარებასა და განათლებას!..

ავტონომია, სხვა ერთა მზგავსათ, ქართველ ერსაც მიანიჭებს ქართულ სასამართლოს, ქართულათ საქმის წარმოებას, ქართულათ მოლაპარაკე მოსამართლეებსა და ვექილებს... და ყველა ეს, ხომ იცით—რასაც ნიშნავს?—იმას, რომ საწყალი გლეხი, საწყალი მუშა, რომელთაც დღეს მოსამართლისა და ვექილების პრიშტი-პრუშტის არაფერი გაეგებათ თავის ბედიბალს ყრუმუნჯივით პირდაღებული შორიდან ცქერას არ დაუწყებენ და— ბუნებით მახვილებს, გამჭრიახი გონების პატრონებს — ვექილები, მწერლები და გზადაგზა ათასი მცარცველ-მგლეჯელი ხალხი აღარ დასჭირდებათ, თავის საქმეებს თვითონ გაუძღვებიან და დღევანდელ ხარჯებს ერთიასათ შეამცირებენ...

ავტონომია საქართველოს ეკლესიებში ქართველ ხალხს ყოველგან—როგორც სოფლებში, ისე დაბა—ქალაქებშიც—ქართულ სახარებას მოასმენიებს, ქართულ ქადაგებას გააგონებს, ყოველგან ქართველ ეპისკოპოზებსა და ღვდლებს მიუჩენს—და ეს, ხომ იცით—რასაც მოასწავებს?—იმას, რომ ქართველი ხალხის რწმენა და სინიდისი თავისუფალი იქნება, მორწმუნე ქართველი შეგნებით მოისმენს თავის ენაზე ქრისტეს მოძღვრებას, სახარებას, რომელიც მას გულსა და სულში წმინდა გრძნობას, წმინდა ზნეობას გაუღვიძებს და გაუღვივებს; ეკლესიებში ყოველგან ქართველთა დიდებული ძველებური ქართული გალობა გაჩაღდება და დროის შესაფერათ თანდათან განვითარდება; ქართველის სმენას ქართული შკოლა და ქართული ეკლესია, სიმღერებისა და საგალობელის ხშირი ვარჯიშობით, უმწვერვალესათ განავითარებს და—სხვათა შორის დასელთა წყალობითაც დღეს შეფერხებულს ქართველი ერის სამუსიკო— სასიმღერო შემოქმედებას—კვლავ წამოაყენებს, გამოაფხიზლებს, ააჩუხჩუხებს!..

ამასთან ერთად ქართველ ხალხს ახლოს სულიერ მოძღვრათ მისივე მოძმე ეყოლება, რომელიც, თუ კეთილია, ჭირშიც და ლხინშიც ერთი-ასათ უფრო ასიამოვნებს და გამოადგება, როგორც ეს ძველათაც ყოფილა, და თუ ბოროტია, იმასაც ხალხი ერთი-ასათ უფრო ადვილათ გაუმკლავდება და თავიდან მოიშორებს, რადგან „ადგილის ყურდგელს ადგილის წევარი დაიჭერსო“—ნათქვამია...

ავტონომია იმისთვის გვინდა, რომ ავტონომიურ ქვეყანაში ადგილობრივ ხალხს ასპარეზი უფართოვდება მუშაობისა, სამუშაოს გაჩენისა, ლუკმა პურის მოპოვებისა და საზოგადოთ ეკონომიური გაღონიერებისათვის.

ამ აზრის სინამდვილის დასანახავათ საკმარისია ერთი პატარა მაგალითი: ავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ხვალ, ოთხშაბათს ქალაქის ამრჩეველთა არჩევანია,

## გასახელეთ ჩვენს კანდიდატებს

ივანე (ივიკო კიტა) გიორგის ძე აბაშიძე, იურისტი, ჭიათურა

გრიგოლ ივანეიძე გველესიანი, იურისტი, ქუთაისი, კაზაკოვის ქ. საკ. სახ.

დავით ბესარიონის ძე ხელთუფლიშვილი, ნაფიცი ვექილი, ქუთაისი [illegible]ვის ქუჩა

ბიულეტენები ერთ თაბახზე გარკვევით რუსულად და ქართულ ენაზეც უნდა იყოს დაწერილი.

ამას შემდეგ განა აქვთ რაიმე ზნეობრივი უფლება საქართ. სოციალდემოკრატებს და მათ დეპუტატებს უწოდონ თავის თავს ჩვენი ხალხის, ქართველი ერის დამცველები?! არა, ამის უფლება არა აქვთ მათ!...

რას აკეთებდენ 6—7 წლის განმავლობაში რუსეთის სათათბიროში წერეთლები, რამიშვილები ჩხეიძეები და ზეგეჭკორები? ისინი გაკიჟინებდენ რუსეთის პროლეტარიატზე და აფრთხობდენ პურიშკევიჩებს. ისინი იცავდენ ლენის მოსკოვის, ლოძის, პეტერბურგის მუშებს და კრინტს არ ძრავდენ ქართველ მუშებზე, ქართველ ხალხზე... ეს რადაც უცნაური საქ. სოციალდემოკრატები უფრთხიან სიტყვას საქართველოს. მათ თავის სახელიც კი უარყვეს და ქართველ სოციალდემოკრატების ნაცვლათ დაირქვეს „რუსის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია“.—აქ არ განვიხილავ ამ პარტიის ცენტრალისტურ და ანტიეროვნულ მისწრაფებას, ამ მათ მოძღვრების ქვაკუთხეს. ამათ ჩვენ შევეხებით შემდეგ. აქ კი ვიტყვი, რომ ამგვარი მოძღვრებას გამათახსირებელი მნიშვნელობა აქვს მთელი კაცობრიობის პროგრესისათვის და ამგვარი პოლიტიკა არამც თუ ხედავს ერის წინსვლას, არამედ ღუპავს თვით ერს. ამ მოძღვრებით საქართ. სოციალდემოკრატები ხელს ართმევენ რუსის ბიუროკრატიას და რუსთა მემარჯვენეებს.

ამას შემდეგ განა საკვირველია, რომ ამ პარტიას ზურგი აქცია ჩვენში ხალხმა და ახალგაზდობამ? რომ ამ პარტიას შორდებიან ათასობით შეგნებული ელემენტი, შეგნებული ქართველები?

საქართ. სოციალდემოკრატიული პარტია დიდიხანია დამარცხდა ჩვენში ზნეობრივათ. მოწინააღმდეგე პარტიათა მესვეურებმა უტყუარი საბუთებით და მკვეთრი ლოგიკით ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე დაამტკიცეს ამ სოციალდემოკრატიულ პარტიის მრწამსის, მისწრაფება-მიმართულობის და ტაქტიკის სრული სიყალბე, უსაფუძლობა და უაზრობა, დაამტკიცეს მათი მავნებლობა ჩვენი ერის კეთილდღეობისათვის. დღეს კი ეს პარტია ფიზიკურათ იმსხვრევა, რაც არის ლოღიკური შედეგი მისი ზნეობრივი დამარცხებისა. ამ პარტიას ვერ იხსნიან დაცემისაგან ვერც მისი ორგანიზაცია და ვერც მისი დახელოვნებული აგენტები. ამ პარტიის დაცემა ჩვენში ისტორიული აუცილებლობაა, ვინაიდან მას არა აქვს საქართველოში არავითარი ნიადაგი. და თუ დღემდი სოციალდემოკრატებს ქონდათ ჩვენში გასავალი, ეს იყო იმის შედეგი, რომ ჩვენს ერს არ ქონდა დღემდი სალი პოლიტიკური შემეცნება. ამით უხვათ სარგებლობდენ სოციალდემოკრატები და ატყუილებდენ ჩვენს ხალხსა და ახალგაზდობას.

რომ ეს მართალია, ამას ადასტურებს თვით ერთი მათი ბელადი. აი რას ამბობდა ეს საქართ. სოციალდემოკრატების ბელადი ამ 7 წლის წინათ თავის მეთაურ წერილში:

— „ჩვენ ვატყუილებთ ხალხსაო. ჩვენ, სოციალდემოკრატებს, რომ ჩვენი საკუთარი პოლიტიკა გვეწარმოებია, ჩვენი სოციალისტური სახე აშკარათ გამოგვეჩინა და მათ, ე. ი. ხალხს ეს დაენახა, უეჭველია, ჩვენკენ არ წამოვიდოდენ და ჩვენს დროშის ქვეშ არ დადგებოდენ. მათთვის ჩვენი წითელი დროშა ნიშნავს არა კერძო საკუთრების მოსპობას, არამედ კერძო საკუთრების გადიდებას და გამრავლებას და ამიტომ ასე ალტაცებით აფრიალებენ მას წარა-მარათ“. (იხ. გაზ. „სოციალდემოკრატი“ № 4.—1905 წ.).

ამ საგულისხმო სიტყვებს განმარტება არ ეჭირვება. ვაქებ ამ ბელადის სიწრფელეს. ტაშს ვუკრავ ამ ჭეშმარიტ სიტყვებს, რამაც მაშინ ისე რიგათ გაარისხა პარტიის ორტოდოქსები. აი, ბატონებო, ამგვარი მოტყუების ჯანყით გარემოცულია საქართველო ოცი წლის განმავლობაში! დღეს კი, საბედნიეროთ, ქრება ეს საშინელი ჯანყი და ამ სიცრუის ბნელ ნისლიდან გამოდიან გლეხნი ფრუიძეები. თუ გუშინ ერთმა ფრუიძემ ამოიღო ხმა და უარყო სოციალდემოკრატიული პარტია, ხვალ და ზეგ უფრო მეტის რიხით უარყოფენ ამ მავნე პარტიას ასი და ათასი ფრუიძე.

— თქვენ შეგიძლიათ დაახშოთ სიმართლე ერთ წილიწადს, ორს, ათ წელს, მაგრამ ყოველთვის კი ვერ დაახშობთ სიმართლესაო“, ამბობს ერთი შესანიშნავი მეცნიერი. ამრიგათ ვერც სოციალდემოკრატები დაახშობენ ჩვენში ამ დიდ სიმართლეს. ჩვენი ხალხი იღვიძებს დღეს საოცარი სისწრაფით, იგებს ამ სიმართლეს და ეს სიმართლის ძლიერი ტალღა იპყრობს მთელ საქართველოს...

**სიმონ ქვარიანი.**

## ფიქრის მორევში.

უგულო ადამიანმა ბევრი რამე გამოიგონა ქვეყანაზე, რომ მერე, გაჩენის დღიდან სატანჯველში ჩაეგდო.

ასეთ სატანჯველშია ქაღალდი და კალამიც, და მერე შავი და წითელი მელანი.

უქელა ეს გაჩენის დღიდან ბედს იწყევლის...

ბედს იწყევლის ნამეტნავათ ჩვენი, როცა ვლად. მიქელაძე და ჩვენებური დასელები—ეს უბადრუკი ჩამონაგლეჯები სოციალ-დემოკრატიული პარტიისა, წინ გაიშლიან ამ ქაღალდს, უკეთურ ხელთ იგდებენ კალამს, შავი მელნით შავს აზრებს სთესენ და წითელით წითელ სისხლსა ღვრიან.

აწ მორალურათ ნეტარ ხსენებული ვლად. მიქელაძე მოგვევლინა შავ-რაზმული აზრებით, ერთი-ორი კვირის განმავლობაში დასტანჯა, აწამა ქაღალდი, კალამი და მელანი თავის „ვინ ხარ შენისათვის“ და „შიკრიკებისათვის“ შეგვპირდა „დანოსებსაც“, მაგრამ აღარ დასცალდა, იცნო ხალხმა—ვინც იყო—და წავიდა.

წავიდა და მემკვიდრეები დატოვა—ეს ჩვენებური დანოსელები დასელებია. დასელები,—დანოსელები, დიახ! მე სოციალ-დემოკრატების სახელს ვერ გავაფუჭებ მათთვის, არ შევურაცხყოფ ამ სოციალისტურ სახელწოდებას და ამ მახინჯებს ვერც ვუწოდებ-მეთქი ამ სახელს, მახინჯებს სულით, აზრით...

საბრალო ქაღალ[illegible], უბედური კალამი, საცოდავი მელანი... რა სატანჯველს განიცდიან „არჩევნების“ გამო!?.

„შიკრიკმა“ „არჩევნები“ გაიხადა მემკვიდრეთ და თუ ვლად. მიქელაძე გვპირებოდა—„დანოსებით“ არ მოგაწყენთო, ბევრი კიდეც მოასწრო, ბევრი აღარ დასცალდა, მაგრამ გული დაიმშვიდოს, აქ დარჩენ ჭეშმარიტი მემკვიდრენი, რომელნიც „დანოსების“ წერაში, საზიზღარ ცილისწამებაში და ჭორების გავრცელებაში მის სახელს არ მოსპობენ..,

ქაღალდო, კალამო, მელანო! რა მებრალებით, რა მეცოდებით! რამდენი რამის ატანა შეგიძლიათ. რას არ ინელებთ. ინელებთ ჩვენი დასელების ნაწერებსაც. დიდება მოთმინებასა თქვენსა, არა აქვს მას დასასრული ისე, ვით არ უჩანს დასასრული დასელების მიერ შეთხზულ ჭორებსა და ცილისწამებას...

ჩვენ კი, ოო, რამდენს მართალს ვიტყოდით მათზე, რამდენი საბუთი შეგვეძლო მოგვეყვანა, მაგრამ ეს ფაქტები ერთობ ბინძური იქნებოდა, სულისა და გულის ამაშფოთებელი, გვებრალება ქაღალდი, კალამი, მელანი...

ჯერ ახლაც მებრალება... მაგრამ აივსო საწყაო მოთმინებისა და ძალუნებლიეთ ცხარე კილო მიიღო ამ წერილმა. განა შეიძლება ადამიანმა ზომიერება დაიცვა, როცა უკანასკნელ „არჩევნების“ ფურცლებს გადაიკითხავ. ვაშა! „სოციალისტებმა“ და მათმა „არჩევანმა“—ვ. მიქელაძესა და მის „შიკრიკს გადააჭარბეს. სოციალისტური პარტია—მეორეს თავწაყრით „დანოსჩიკებს“ ეძახის! მე თუ დასელები—დანოსელები-თქო ვამბობ—ეს იმასვე არ ნიშნავს, ერთი და იგივე არ არის. აქ მე დიდი სოციალდემოკრატიული პარტიის მხოლოდ ჩვენებური ჩამოგლეჯილი, უკულმართი დასელები მყავს სახეში და განსაკუთრებით კი ის ბრბო, რომელიც „სამარგალიტო“ „არჩევანს“ გარს შემორტყმია და ამაშფოთებელ სიყალბეს აწვდის საზოგადოებას...

ძოკასა შიგან...! **დ.**

## ახალი ამბავი.

### ა რ ჩ ე ვ ა ნ ი.

ხვალ ხელახალი არჩევანია ქ. ქუთაისიდან დეპუტატის ამრჩევლებისა. სამაზრო კომისიამ, როგორც ვიცით, დაარღვია პირველი არჩევანი და დღეს კი საგუბერნიის კომისია გაარჩევს სამაზრო კომისიის იმ საბუთებს, რომელითაც ამ სამაზრო კომისიამ იხელმძღვანელა, როცა გააუქმა პირველი არჩევანი ღ ე. ზეგეჭკორის ამომრჩეველზე კანდიდატურის წამოყენება უკანონოთ იცნო.

ასე რომ ხვალის ბიულეტენებში ევგ. ზეგეჭკორის კანდიდატურის ჩაწერა უქმი იქნება, თუმცა დასელები მაცადინობას არ აკლებენ, რომ თავისი სადეპუტატო კაცს უფლება აღუდგინონ მანამდის კი, ესე იგი დღემდის, როცა საგუბერნიო კომისია დაადასტურებს ან დაარღვევს სამაზრო კომისიის გადაწყვეტილებას, ყოველ მოსალოდნელ შემთხვევისათვის, დასელები ახალ, მესამე კანდიდატს დაეძებენ, რომ სია შეავსონ; ორი—ნათაძე და მგალობლიშვილი პირველ არჩევანზე ზეგეჭკორის სახელის გამობანიებით გავიდენ, ცხადია; ახლა ხმებია, ვექ. ა. გელაზარს ასახელებენო, ზოგიც კი ან. მეფისაშვილსო.

მაგრამ ის კი საიდუმლო არაა, რომ თ. ვლად. მიქელაძის „ავრე წოდებული პროგრესისტების“ ჯგუფს კიდევ ცოცხალი გონებია თავის თავი და მოწყდება და ბიულეტენებიც გაავრცელეს ქალაქში. ამ ჯგუფის უბელადოთ დარჩენილი ყეშიკები პირდაპირ აცხადებენ, რომ საცა კერძოთ თქვენი კანდიდატების სიას ენახავთ, დავხევთ, სხვებისას არ ვერჩით... ეს სხვები ვინ უნდა იყოს, ცხადია. ძალაუნებლიეთ ეჭვი გებადება, დასელებსაც ხომ მონაწილეობა არა აქვთ ამ მოწოდებასა და ბიულეტენების გავრცელებაში... არ გვგვიკვირდება; მხოლოდ ის გასაკვირალია,—ვინ იმეტიჩრა ამ მოწოდებისა და ბიულეტენების შედგენა. წაიკითხეთ ქვემო მოყვანილი წერილები:

ბატ. რედაკტორო! როგორც გადმოცეს ქალაქის ქუჩებში განცხადება გაუკრავთ და თ. ვლად. მიქელაძის დარჩენილი თანამოაზრენი ბიულეტენებსაც არიგებენო, სადაც ჩემი სახელიც მოუხსენებიათ, სხვათა შორის. არავისთვის ამის ნება არ დამირთავს და არც სურვილი მაქვს—რომელიმე ჯგუფის წარმომადგენლათ ვირიცხებოდე. **ივლიანე ანჯაფარიძე.**

ბ. რედაქტორო! გთხოვთ დამისტამბოთ თქვენს პატივცემულ გაზეთ „იმერეთში“, რომ მე სრულებით არ მისურვებია და არც დღეს მსურს მეყაროს კენჭი ამრჩევლობაზე სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატისა, ამიტომ ვთხოვ ჩემს ნაცნობებს, ნუ შეცთებიან და ხმებს ნუ დაუკარგავენ სხვა თავის კანდიდატს.—მე არ მესმის ჩემ დაუკითხავათ ჩემი კანდიდატურის წამოყენება! **კ. ნ. ჩიკვაიძე.**

ბ. რედაქტორო! გთხოვთ ამ ჩემ მოკლე განცხადებას მისცეთ ადგილი თქვენს გაზეთში. არც წინეთ, არც ახლა არ ვყოფილვარ და არ ვარ მსურველი ვიქნე ამორჩეული სახელმწიფო სათათბიროში წევრის ამრჩევლათ. ამ საგანზე არავისთვის მე ნებართვა ჩემს ამორჩევაზე არ მიმიცია. ვინც მე მასახელებს ის ტყუილათ კარგავს ხმას. მიხეილ ერასტის ძე **დარახველიძე.**

### ქ უ თ ა ი ს ი.

✦ ერთ კვირაზე მეტია ქუთაისში მიდამო სოფლებიდან ბევრი ყურძენი შემოდის. ფუთი მანეთად და მანეთზე ზევითაც.

✦ პავლე ბაბუნეიშვილი ნებართვას თხოულობს ქუთაისში ყოველდღიური გაზეთი „მერცხალი“ გამოსცეს.

ლით მწიგნობრობის საქმე. დღეს ჩვენში ორიოდე გაზეთი გამოკინკილობს—და იმათაც სული ეხუთებათ, ექვსასი თუ რვაასი ხელისმომწერი ძლივს უშოვიათ—და, დღეს თუ არა, ხვალ სულს დალევენ: მუშებს ქირას ვერ აძლევენ, სტამბას ვერ ისტუმრებენ, ქაღალდის ფასი არ მოეპოებათ, ბინის ქირას ვერ იხთიან, თანამშრომლებს მუქთად ამუშავებენ... ერთი სიტყვით—ეს საქმე არათუ ვისმე საზდოს აძლევს, არამედ, პირიქით, თავისი ღარიბი ჯიბიდან ზედ ადებიებს, და თუ არა ფანატიკოსი და საქვეყნო საქმისთვის თავდადებული, აბა ვინ მოკიდებს ხელს ამგვარს „მოსაგებ საქმეს“?!

ასე წარმოობს წიგნების გამოცემის საქმეც. ავტონომიის უქონლობა ხელს უწყობს უცხო წიგნების გავრცელებას და სამშობლო ლიტერატურის დაბეჩავებას: შკოლებში საჭირო სახელმძღვანელოები უცხო ენაზეა შედგენილი—და, მაშასადამე, მხოლოდ ისინი იყიდებიან და ვრცელდებიან; უცხო შკოლების მეოხებით ჩვენმა მკითხველებმა ცუდი ზნე შეითვისეს: თითქმის მხოლოდ უცხო ლიტერატურას ეწაფებიან—და ქართულ წიგნს იშვიათად ყიდულობენ და ნაკლებათ კითხულობენ. ავტონომიაში კი ქართული ჟურნალ-გაზეთების ტირაჟი და ქართული წიგნების ბაზარი ერთი-ათასათ აიწევდა—და მაშინ ასიათასობით მწერალი და მუშა—ხალხი პატიოსანი შრომით თავს ადვილათ დაირჩენდა, შიმშილით დღევანდელივით კუჭი არ აეწოდა—და სამშობლო ლიტერატურაც აყვავდებოდა, გამდიდრდებოდა!...

აი რამდენი სიკეთე მოყვება ავტონომიას!.. და ჩვენი „ჭკვიანი“ დასელების „გონიერი“ ბელადები კი ჩვენი ხალხის ბნელ კუნჭულებს „ჭკუას“ ასე ასწავლიან: ავტონომია ფედერალისტებს იმისთვის უნდათ, რომ მეფობა აღადგინონ და ჩვენს ქვეყანაში მცხოვრები სხვა ტომები დაჩაგრონო!..

გონიერი მკითხველი ზევით ნათქვამიდან ადვილათ მიხვდება, თუ რა სასარგებლო ყოფილა ავტონომია სწორეთ იმ „მუშებისთვის“, რომელთა ვითომდა დამცველ „პარტიათაც“ დასელებს თავი მოაქვთ. მუშები სწორეთ ავტონომიაში თუ მოიპოებენ საკმაო სამუშაოს და საკმაო ლუკმა პურს, და „ჭკვიანი“ დასელები კი მათ ამ ლუკმა პურს პირიდან ართმევენ—და კიდევ არწმუნებენ: ჩვენ თქვენი კეთილდღეობისათვის ვზრუნავთ, თქვენს ინტერესებს ვიცავთო!..

რა ვუწოდოთ ამისთანა „ხალხის კეთილისმყოფელებს,“ ამისთანა „მუშათა პარტიას“: მატყუარები თუ შეუგნებელნი?!..

ამ სახით, მკითხველი კარგათ ხედავს—რა სინდისისა და რა შეგნებისაც ყოფილან „მუშათა პარტიის“ ბელადები. სამწუხაროთ, მათი შეუგნებლობა თუ მატყუარობა ჯერ კიდევ გაუშუქებელი რჩება ზოგიერთს ბნელ კუნჭულში. თუმცა ისინი თავის „ლაშქარს“ სახელათ „შეგნებულ პროლეტარიატს“ უწოდებენ, მაგრამ ნამდვილათ კი მათ „ლაშქარში“ მხოლოდ ისინი რჩებიან, რომელთაც ქვეყნის საქმე ან ფეხზე კიდიათ, ან, ერთხელ ცრუ მოძღვრებაში შებმულნი, „აფხანიკებს“ ვერ დაშორებიან—და ან დღემდი კიდევ შეუგნებელი არიან. ცხადი შეუგნებლობა ეტყობათ, სამწუხაროთ, იმ ასოთამწყობებსაც, რომელნიც ალმანახ „არჩევანში“ (№ 2), აკაკისთან ატეხილი პოლემიკის გამო, სილოვანს „პროტესტს“ უცხადებენ. მათი შეუგნებლობის საბუთად ისიც კი კმარა, რომ უბრალო წერილის გაგებაც კი არ შესძლებიათ: სილოვანმა აკაკის მაიმუნი უწოდაო, ბძანებენ ისინი თავის „პროტესტში“! ნამდვილათ კი სილოვანმა მხოლოდ ონავარს უწოდა მაიმუნი—და ამისთვის ბოდიშსაც არ იხთის, ხოლო აკაკისთვის მაიმუნი არ უწოდებია, „მასხარა“ კი უწოდა—და არც ამისთვის იხთის ბოდიშს, რადგან თვით აკაკიმ თავის წერილში სილოვანის მასხრათ აგდება მოიწადინა, როცა სილოვანი აკაკიზე შეხედულებაში ცამდი მართალია...

მუშებს, ასოთამწყობებს მე არ ვუჯავრდები: ისინი მხოლოდ მებრალებიან, რადგან ჯერ კიდევ საქვეყნო საქმის შეგნება აკლიათ—და, იმედია, მალე ისინიც შეიგნებენ და „მუშათა პარტიას“ ისევე ჩამოშორდებიან, როგორც ბევრი შეგნებული მუშა და გლეხი უკვე ჩამოშორდა მათ. ხოლო ბ. გ-რის კი, ამ „შეგნებულ ტიღიგენტს“, სრულ ზიზღს ვუცხადებ, ვინაიდან მას შეეძლო დაწერილის გაგება, მაგრამ ჩემს აზრს განგებ ამახინჯებს და ცილსა მწამებს, რომ სილოვანმა აკაკის მაიმუნი უწოდაო...

დასელი გ-რიების მხრით აკაკის ვექილობა ცფიერობაა და მეტი არაფერი, მაგიერის გადახთაა იმ კუდის ქნევისათვის, რომელიც აკაკის მათდამი ხშირათ გამოუჩენია. აქ დასელთა საქციელს მშვენიერათ ახასიათებს კრილოვის სიტყვები: „За что же, не боясь грѣха, кукушка хвалитъ пѣтуха?—За то, что хвалитъ онъ кукушку“!..

ჩვეულებრივი სიყალბით არის სავსე ბ. გ-რის შენიშვნებიც ილია ჭავჭავაძის მკვლელობის შესახებ; იგი ცთილობს—უმანკო კრავებათ გამოიყვანოს დასელთა პარტია ამ საქმეში—და, სხვათა შორის, ამბობს: „განა ყველა პატიოსანი ადამიანისათვის აშკარა არ არის, რომ ჩვენს წრეში (იგულისხმეთ დასელთა წრე) ასეთი ფრიად სამწუხარო მოვლენა გამოიწვევდა მხოლოდ აღშფოთებას და სასტიკ პროტესტსო?!

აბა სად იყო, ბ-ნო გ-რი, თქვენი „პატიოსანი წრის“ აღშფოთება და პროტესტი, როცა ილიას მოკვლის გამო მთელი საქართველო და უცხოელებიც კი შფოთავდენ და ღელავდენ—და ამ დროს თქვენი დასელი სტუდენტები რუსეთის სხვადასხვა ქალაქში უბრალო ფეხზე ადგომითაც კი ილიას ხსოვნის პატივისცემის წინააღმდეგი შეიქნენ?!

აბა სად იყო თქვენი „აღშფოთება“ და „სასტიკი პროტესტი“, როცა თქვენმა ბელადმა ნ. ჟ-მ ილიას მოკვლის გამო პრესაში წამოიღუღლუღა: „როცა ხეს ჭრიან, რა გასაკვირველია, რომ ნაფოტები დაცვინდესო“! ესე იგი, როგორც თვითვე იქვე მარტავდა, რევოლიუციამ ილიასთანა „ნაფოტები“ რომ იმსხვერპლოს, რა დიდი საქმეაო?!...

აი როგორ გამოიხატა, ბ-ნო გ-რი, თქვენი „აღშფოთება“ და „სასტიკი პროტესტი“ ილიას მოკვლის გამო—და დღეს გნებავთ—უმანკო კრავებათ მოგვეჩვენოთ?!...

აი სადამდი მიდის თქვენი შეუგნებლობა, უფრო ხშირათ კი—თქვენი მატყუარობა!...

მაგრამ, საბედნიეროთ, ვინაც კარგათ გაგიცნოთ, კიდევაც ჩამოგშორდათ, რადგან დარწმუნდენ, რომ ხალხს ხრამისაკენ მიუძღვით, რათა შიგ გადაყაროთ; საბედნიეროთ ჩვენი ხალხისა — თქვენ-მიერ გმობილი ფედერალისტების მოძღვრება გიგანტური ნაბიჯით წინ მიდის და—ამათ დრტვინავთ და ბრაზობთ: თქვენი წყალობით ქართველ ხალხში მოფენილი წყვდიადი ნათელი მოძღვრების ბრწყინვალე სხივებზე ქრება და ჩვენს ქვეყანას ძლევამოსილი შარავანდედი ეფინება!

სილოვანი.

ქუთაისი, 14 ოქტომბერი.

ჭურჭლეულობის და ავეჯეულობის მაღაზია ქ. ქუთაისში

# ფ. ს. ფილიპოვისა

ყოველთვის მოიპოება დიდ-ძალი რჩეული: ფაიფურისა და ფაიანსის ჭურჭლეული; საუცხოო ბროლისა და მინის საქონელი, საუკეთესო ლამპები ვარშავიდან და საზღვარგარეთიდან, აგრეთვე ... გამოვლებული ჭურჭლეული თეთრი ალიუმინის, ალპაკა და სპილენძის ქვაბები, ყავადნები, სარძევეები და სხვა სამზარეულო ჭურჭელი. სამოვრები, ნავთის სამზარეულოები ... ვერცხლნარევი ჭ ბრინჯაოთი ნაკეთები საქონელი. ვენური მოხრილი სუფრის ყოველგვარი და ბამბუკის ავეჯეულობა, ვარშავისა და ინგლისის ქარხნებიდან ლოგინები. ... ფრე კლიონკები და იატაკზე საფენი ლინოლეუმი, საზღვარგარეთისა და რუსეთის გიტარები, მანდალინები, ბალალაიკები, პატე—გრამაფონები და მათი ფირფიტები, პიანინოები ... ლება. ელექტრონული ლამპები და ყოველგვარი მოსაწყობელი, ორთქლით მრეცხავი მანქანები და საეკლესიო მოწყობილობა, დიდძალი რჩეული შპალერი 8 კაპეიკიდან ვიდრე მანეთ-ნახევრამდი თოფი. საუკეთესო ქარხნის მბეჭდავი მანქანის წარმომადგენლობა ქუთაისის გუბერნიის და ბათომის ოლქში მეკუთვნის მხოლოდ მე. ფასები მეტად დაკლებულია.

სავაჭრო სახლი **გ. გოკიელის შვ-ებ**ი სავაჭრო სახლი

## აუწყებს მოწაფეებს, რომ მათ შეუძენიათ დიდძალი საჭირო

## საწერი, სახატავი და საკანცელარიო ნივთები,

რომელნიც პირდაპირ მწარმოებლებისაგან არის ნაყიდი კარგი პირობებით. სავაჭრო სახლმა ბევრ ნივთებზე გასულ წელთან შედარებით **ფასები დაუკლო.** ეს ფასები, რომელიც ხელმისაწდომი და იაფია, კარგათ იცის ქუთაისს საზოგადოებამ.


✦ უჩა დადიანის საქმე, რომელიც კავკავში ამ დღეებში უნდა გარჩეულიყო დამცველთა თხოვნით სხვა დროისათვის გადაიდვა.

✦ ოზურგეთის მაზრის მცხოვრებლებმა ღვდლებმა მ. სიხარულიძემ მ. თალაკვაძემ და გ. ურუშაძემ ღორის მომშენებელ საზოგადოების დაარსების შესახებ გუბერნატორის წინაშე შუამდგომლობა აღძრეს.

✦ სასინოდო კანტორამ გადაწყვიტა სოხუმის საეპარქიო შკოლას წლიურათ ხუთი წლის განმავლობაში 1000 მანეთით დახმარება მისცეს. ამ შკოლის კურს. დასრულებული მოწაფეები სოხუმის ეპარქიაში ღვდლებათ დაინიშნებიან.

✦ ბაქოში 7 ოკტომბერს ა. ამაშუკელის და ე. ანდრონიკაშვილის ქალის მონაწილეობით ქართული წარმოდგენა გაუმართავთ. წარმოუდგენიათ „ალიაქოთი კეთილშობილურ ოჯახში“ და „უბედური ნაბიჯი“. წარმოდგენას ხალხი ბლომათ დასწრებია. იგი წ. კ. საზოგადოების ბაქოს განყოფილებას გაუმართავს.

✦ ქუთაისის ქართული გიმნაზიის მოწაფენი ნამესტნიკის განკარგულებით სამხედრო ბეგარისაგან გაათავისუფლეს.

✦ სენაკის სათავად-აზნაურო პირველ დაწყებითი შკოლის გამგეობამ ამავე შკოლის მასწავლებელს პ. ლორთქიფანიძეს ჩააბარეს.

✦ ი. გრიშაშვილს განუზრახავს ნოემბერში ქალაქ ბაქოში სალიტერატურო საღამო გამართოს.

✦ ლანჩხუთიდან გვწერენ: აქ ამ რამდენიმე დღის წინათ იასონ გაბილაია მოვიდა და კოოპერაციაზე ლექცია წაგვიკითხაო. ლექციას ხალხი ბლომათ დაესწრო

✦ იქიდანვე გვატყობინებენ: განზრახვა გვაქვს დავაარსოთ მომხმარებელი საზოგადოებაო.

✦ გუშინწინ საოლქო სასამართლოში მოსამსახურე სტეფანე რაშიუკინმა თავის დახჩობა განიზრახა. მას გასულ კვირას ცოლი შეურთავს, ქორწილიც გადაუხდია, წასულა რიონზე და გადავარდნილა, მაგრამ გადაურჩენიათ.

### მოწერილი ამბავი.

**ონტოფო (ოდიში).**

უკანასკნელ დროს ამ სოფელში ქურდობამ ჩხუბმა, აყალ-მაყალმა და სხვა უკულმართობამ იკლო. აქ ვაჟთა ორკლასიანი შკოლა არსებობს, არსებობს აგრეთვე ქალთა სამინისტრო შკოლაც.-- ონტოფოში ბაზრობა იციან, წარსულ ხანებში აქ აფთიაქი და წვრილი კრედიტის საზოგადოებაც დააარსეს. არ არსებობს სამკითხველო და საჭიროა, რომ მის დაარსებაზე ვინმე იზრუნებდეს.

## დეპეში.

### ომი ბალკანეთზე.

(პეტ. დეპ. სააგენტო)

**ათინა.** საბერძნეთის მთავრობამ მისწერა პრეფექტს, რომ თავისუფალი ჯარისკაცების მიღება შეწყვიტოს, გამონაკლისს მარტო გარიბალდიელები შეადგენენ. იტალიის გაზეთები იტყობინება, რომ აქ მალე გარიბალდიელები მოვაო.

**სტამბოლი.** ჩქარი მატარებლით ადრიანოპოლს სამხედრო კორესპონდენტები წავიდნენ.

**ვენა.** ბერტჰოლდის მოგზაურობის გამო იტალიაში „ფრენდებლატი“ ამბობს: უმთავრესი საგანი მთავრობისა მშვიდობიანობის ტენდენციაა, რომელიც აგრეთვე შეადგენს ევროპის და განსაკუთრებით კი სამთა კავშირის მზრუნველობის საგანსო.

**სტამბოლი.** საბერძნეთის მებრძოლი ჯარი ოსმალეთის წინაამდეგ 100,000 აღემატება. ოსმალეთს ბერძნების წინაამდეგ ორი დივიზიის მეტი არა ყავს.

**სალონიკა.** ოსმალეთის სამხრეთის ჯარი ტრაპიზონიდან ვარნაში გაიგზავნა. ოსმალეთის ჯარში საოფლე გაჩდა.

**ბელგრადი** პირველი ჯარის მოწინავე რაზმებმა 11 ოკტომბერს კუმანოვოს წინ მთავარი პოზიცია დაიკავა. კუმანოვოს ერთი ნაწილი დაიკავეს, ბრძოლა გძელდება.

**ბელგრადი.** სერბიის რაზმმა უბრძოლავათ აიღო ვერეზოკიჩი და მიტროკიჩი.

**ათინა.** საბერძნეთის ელჩს ალბანელებისაგან საფრთხე მოელის, ოსმალებმა ბერძნების ჯარი გაარღვიეს და გაიქცენ.

**ათინა.** ბერძნებმა დაიკავეს სოფელი პროხოდესი და კუმსადესი. ამ სოფლის მცხოვრებმა ოსმალებისგან მრავალი საშინელება გამოიარეს.

**ბელგრადი.** კუმანოვიდან უკან დახევის დროს ოსმალებმა მრავალი ქრისტიანის ოჯახი ამოხოცეს.

**პარიზი.** ოსმალეთის დამარცხებას ნაადრევათ სთვლიან. ფიქრობენ ბალკანეთის სახელმწიფოების გამარჯვება ტერიტორიალურ სტატუკვოს შესცვლის, რაც ევროპას გააცხარებსო.

**ბერლინი.** გაზეთების ცნობები, თითქოს გერმანიამ ბერლინიდან ოსმალეთს ის 70 მილიონი ფრანკი გაუგზავნა, რომელიც აბდულ-ჰამიდს ჩამოართვესო, ტყუილია.

**თეირანი.** სალარდოულე 500 ცხენოსანი ჯარის კაცით შეხრასტუნის მახლობლათ იმყოფება და ხოჯევანის ცხენოსან ჯარს, მოელის. სალარდოულე სასტიკათ სდევნის ცარცვა გლეჯას.

**ზაგრები.** სტუდენტ იუკიჩს სიკვდილით დასჯა უვადო კატორღათ შეუცვალეს.

**თეირანი.** სალარდოულე შეხრისტანისკენ წავიდა. მასთან ახლავს 420 შეიარაღებული კაცი. შესაძლებელია, მას მთავრობაზე უკმაყოფილო სეფეხდარის შვილი შეუერთდება.

## ომის ამბავი.

გაზეთ „დენს“ სტამბოლიდან სწერენ:

დიპლომატიურ წრეში დიდი მუშაობაა. ნოტების ულტიმატუმების და მეგობრული რჩევის კითხვას ვერ ასწრებენ. ყველა ახმაურდა, კამათობენ, ზოგს ბრალს სდებენ, ზოგსაც იცავენ. ასეა სტამბოლში ხოლო პროვინციაში დიპლომატიური ხმაურობის არაფერი ისმის. უკვე გავარდა თოფი, დაიღვარა სისხლი. კითხვა იბადება: თოფის გრიალი ჩააჩუმებს დიპლომატთა ხმაურობას, თუ ამ უკანასკნელების ხმაურობა თოფის გრიალს.

იბრძვიან ჩერნოგორიელები და ოსმალები ოსმალები ჩერნოგორიელებთან ბრძოლას დიდ ყურადღებას არ აქცევენ.

მათი უმთავრესი ყურადღება ბულგარეთისაკენაა მიქცეული.

ბრძოლის ველიდან ცნობები მოდის. მიუხედავათ ცნობათა გაურკვევლობისა, ამ ცნობების მიხედვით, გამარჯვება მაინც ჩერნოგორელებისაკენ არის. აქ აქვეყნებენ ცნობებს მხოლოდ ოსმალების გამარჯვების შესახებ.

რაც უნდა უმნიშვნელო იყოს ჩერნოგორიელებთან ბრძოლა ის ჯარს მაინც საჭიროებს. ჩერნოგორელებს ამ ჟამათ 30,000 ჯარის კაცი ებრძვის. სერბიაც სერიოზულ ძალას წარმოადგენს. ოსმალეთი სერბიის წინაღმდეგ 70,000 ჯარის კაცს გამოიყვანს.

ევროპაში ის აზრია გავრცელებული, რომ ბულგარეთს საუკეთესო ჯარი ყავს. ეს აზრი სერბია-ბულგარეთს შორის ომს შემდეგ გავრცელდა. სჯერათ აგრეთვე რომ ბულგარეთის ჯარი ძლიერია ევროპიული განათლებითაც. ოსმალეთში ბულგარეთის ჯარის შესახებ სულ სხვანაირათ ფიქრობენ.

თუ ბულგარეთს სწავლული განათლებული ჯარი ყავს ოსმალეთის ჯარისათვის შედარებით ცოტა უსწავლებიათ, მაგრამ მიუხედავათ იმისა ოსმალებს მაინც დიდი ღირსება აქვთ. უმეტეს ნაწილს ოსმალეთის ჯარისა და აფიცრებსაც საომარი გამოცდილება აქვთ. ალბანელების აჯანყების დაქრობა სამხედრო ექსპედიცია, არაბეთში; ბრძოლა იტალიელებთან, ყოველი ეს საუკეთესო სამხედრო შკოლა იყო ოსმალთათვის. დიდი ღირსება კიდე ოსმალეთის ჯარისა ის არის, რომ მასში დემოკრატიული სულია გამეფებული. არსად არც ერთ სახელმწიფოს ჯარში არ არის ისეთი დაახლოებული დამოკიდებულება აფიცრებსა და ჯარის კაცთა შორის როგორც ოსმალეთში. ამ მხრით ოსმალეთის ჯარის კაცი და აფიცერი გაერთიანებულ ძალას წარმოადგენს. ოსმალეთის აფიცრებათ უმთავრესად ინტელიგენტური პირები არიან.

ის ხმა—ვითომც ოსმალეთი 5 მილიონ ლირას სესხულობდეს ამერიკელი კაპიტალისტებისაგან აქაც არის. დღემდი მთავრობამ საომარი ხარჯების დასაფარავად $18^1/_2$ მილიონი გადადვა.

ხმაა გავრცელებული—ინგლისმა წინადადება მისცა ოსმალეთს ეგვიპტე დამითმე და 35 მილიონ სესხს მოგცემო.

ოსმალეთი პურის ფქვილს მოკლებულია და აქ არც ნახშირი იშოვება. ვაჭრობა აქ ინგლისელების, ფრანგებისა და გერმანელების ხელშია.

## რუზველტის დაჭრა.

ამ ერთი კვირის წინათ დეპეშამ ცნობა მოიტანა ამერიკი ს შეერ. შტატ. ყოფილი პრეზიდენტის დაჭრის თაობაზე. რუზველტი ერთ კრებას უნდა დასწრებოდა. როდესაც იგი სასტუმროდან გამოვიდა და ავტომობილში ჯდებოდა, ვილაც უცნობი მიუახლოვდა და დამბაჩა ესროლა. რუზველტი დაიჭრა, მაგრამ კრებაზე მაინც წავიდა. დამჭრელი დააპატიმრეს. რუზველტი შეკითხებია—რისთვის დამჭერიო, პასუხი არ მიუღია. ამ შემთხვევას შემდეგ რუზველტს კრებაზე ერთი საათი ულაპარაკია. ბოლოს ჭრილობისაგან დასუსტებულა და სიტყვა ვერ დაასრულაო. ამ გარამოებით მისმა მოწინაღმდეგებმა ისარგებლეს და მას დაცინვა დაუწყეს. მაშინ რუზველტმა სუსტი ხმით ბოდიში მოიხადა და კრებას მოახსენა. ჩემი მოწინააღმდეგები არავითარ საშუალებას არ ერიდებიან ჩემს წინააღმდეგო, ავრცელებენ ჩემზე ჭორებს, გამოვყავართ ხალხის მტრათ და მათმა ასეთმა მოქმედებამ ნაყოფიც გამოიღო, დამსჭრეს კიდევაც. ამას შემდეგ რუზველტი საავათმყოფოში წაიყვანეს და იქ მისი ჭრილობა მძიმეთ იცვნეს.

რედაქტორ-გამომცემელი

ბ. ე. ჭელიძე.



**ЛИЦЪ,** желающихъ имѣть настроенные инструменты, въ полной исправности, просятъ обращаться въ гостин. „Франція“ до 19-го октября. **КЪ М. Я. КСЕНДЗАЦКОМУ**


**დ. აბაშაში** გაზ. „იმერეთი“ იყიდება მომხმარებელი საზოგადოების მაღაზიაში.

## ძმ. ე და პ. საკაშვილები

### ქუთაისში.

გვაქვს პატივი ვაუწყოთ პატივცემულ საზოგადოებას, რომ 1 აპრილიდან ჩვენ გადავიტანეთ ჩვენი

რ კ ი ნ ე უ ლ ო ბ ი ს ს ა ვ ა ჭ რ ო

ჯუჯიანის ქუჩაზე, საკუთარ შენობაში, და შესამჩნევათ გავაფართოვეთ იგი. მაღაზიაში იყიდება ყოველგვარი რკინეულობის მასალა საშენებლათ, მაგ., კარ-ფანჯრების და ბუხრ-ღუმელების მოწყობილობა, ლურსმანი რკინის ნიჩბები, წერაქვები და სხვა., სახელოსნო ხელსაწყოები ფანჯრების მინები, მავთული, თუნუქი, „ფეშტი“, სხვადასხვანაირი ემალიანი ჭურჭლეულობა, ყოველგვარი სალებავი წამალი, მშადიერი, ელექტრონის ზარების მოწყობილება, ცემენტი, ალიბასტრი და მრავალი სხვა საქონელი ჩვენი ხელობის.

ფ ა ს ე ბ ი ზ ო მ ი ე რ ი ა.

## გ. მორდა-ძის და ს. წერეთლის

რკინეულობის მაღაზიაში იყიდება:

საუკეთესო ქარხნებისაგან მიღებული რკინეული საქონელი: კარის, ფანჯრის და ღუმელის მოწყობილობანი; სადურგლო ხელსაწყობი, ფანჯრის მინები, რკინის ნიჩბები, ლურსმანი, მავთული, ყოველგვარი სალებავი წამალი, ელექტრონის ზარის მოწყობილობანი, შპალერი, ცემენტი, ემალიანი ჭურჭლები, ასფალტი, და სხ. ვაჭრობა პარტიით და წვრილათ ხელმისაწდომ ფასათ. ქ. ქუთაისში, საკუთარ შენობაში, მიხაელის ქუჩაზე № 65.



ქუთაისში ასეთი ფარნები არის 160.

მეტერსი.

## ნ. ს. ტერკი.

ქუთაისი, ქარვასლის ქუჩა.

### სპეციალისტური სავაჭრო

**ნავთის კალილო ლამპები და ფარნები, 75% იაფი ელექტრონულზე, იოლათა და ადვილათ მოსავლელი.**

ნავთისავე მრავალი ფეჩები, სამზარეულო, სათფური და პრიმუსები.

**ფასები ძლიერ დაწეულია.**

მოითხოვეთ პრეისკურანტები.





ფეჩი.

ალექსანდრერ. თაბაგარის მაღაზია ქუთაისში

ალექსანდრეს ქუჩა, სობორთან.

მიღებულია დიდძალი გრამოფონები, ველოსიპედები, საქსოვი და საკერავი მანქანები, გიტარები და მათი მოწყობა. ყიდვა შეიძლება როგორც ნაღდ ფულზე, აგრეთვე ნისიათ, (თვიური შემოტანით). ადრესი: Кутаисъ, А. Р. Табагари.

ჰყავს გამოცდილი მექანიკი, შეკეთება ყველაფრის კარგათ და ზომიერ ფასათ. გრამოფონის ფირფიტები ახალ-ახალი მოგვდის ყოველ კვირაში.


ქ. ქუთაისი, სტამბა, „ძმობა“, ქაზაკოვის შესახვევი, სახლი № 17